…ამბა და რედაქცია
…ლისი, სასახლის ქ.,
…აზნაურო ქარვასლა
…მომწერნი გაზეთის დასაკვე…
…მართავენ რედაქციას დილის
საათამდე და საღამოს 6—7
…კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
…მოუწერავ წერილებს რე…
…ქცია არ ბეჭდავს.

…ისა მოლაპარაკება რედაქ…
…ან შეიძლება ყოველდღე.
…ლეფონი № 363


# ცნობის ფურცელი


ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
тифлисъ, Дворцовая ул. д
Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
…აზეთი „ცნობის ფურცელი“
ღირებს 5 მან.,

დიმ. კოსტ.-ძე ერისთავი
(ოქრომჭედლების ქუჩა, სახ. თულაევის № 40.)
სადოსტაქარო (ხირურგ.) სნეულებანი—
…იღებს ავადმყოფებს—დილის 10—1 საათამდის.

Докторъ Д. К. ЭРИСТОВЪ
…ебрянны рядъ д. Тулаева, № 40). (10—6).

ქ. ქუთაისი
ექიმი
…. გ. ჭიჭინაძე
იღებს ავადმყოფებს
…ილის 9—11 საათამდე
… საღამოს 4—6 საათ.
…ევაშოვის ქუჩა ბ. ხარაზოვის
სახლი № 13.
…КТОРЪ Н. Г. ЧИЧИНАДЗЕ
…исъ, Левашеская ул. № 13.

…ეთ სწორეთ იმ ფირმებიდან
…სეთივე საიმედო, როგორც
…ულ წლებში, ბადადების
…ობიული ჯიშისა დიდი მა…
…ებუმის თესლი. მსურველთ
…იანთ მოგვმართონ ჯერ-ჯე…
… ოზურგეთში, ახალსენაკში
…უმში ჩვენს წიგნის მაღა…
რომლებთაც დაეთმობა
…იფად. საიმედო პირს ვაძ…
…ნისრათაც. ამასთანავე ვყი…
…ლ მცირე ფასათ ბუდის
და წიგნაკებს აბრეშუმის
…მოშენებაზე.
…6) ძმ. თავართქილაძეები.

…ნალო და ამბულატორია
…თოფურიასი
ქუთაისში.
…ლოში 50 საწოლია ავად…
…ვის მიიღებიან ავადმყოფ…
…განისა, ნერვების, საქირურ…
…ისა და დედათა ავადმყო…
ფობისანი,
…ებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
…ფთ სინჯავენ დილის 11

საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ზ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტეოროლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

უმაღლესი ბრძანებანი: 1898 წ. 18 ნოემბერს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს აზრი იმის შესახებ, რომ იმ თანხას, რომელიც აქამომდე ეძლეოდა შესანახად სასულიერო უწყების სასწავლებლებს სახელმწიფო ხაზინიდამ, პირველ იანვრიდან 1899 წლისა, მიემატებოდეს ყოველ წლივ კიდევ ასი ათასი მან.

სახელმწიფო ხაზინიდამ სასოფლო და საქალაქო სასულიერო წოდების შესანახად, 1899 წელს 500,000 მანათის გადადების შესახებ. სახელმწიფო საბჭომ, სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტში' განიხილა რა წარდგენილება უწმიდეს სინოდის ობერ პროკურორისა იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნეს თანხა შესანახად საქალაქო და სასოფლო სასულიერო წოდებისა, დაადგინა: გადაიდებოდეს ყოველ წლივ 1 იანვრიდამ 1899 წლ. სასოფლო და საქალაქო სასულიერო წოდების შესანახად 500,000 (ხუთასი ათასი) მანათი სახელმწიფო ხაზინის საშუალებათაგან დასამატებლად იმ თანხისა, რომელიც აქამდის ამ საგნისთვის იხარჯებოდა. სახელმწიფო საბჭოს ხსენებული აზრი 11 ნოემბერს, 1898 წელსა უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

# ახალი ამბავი

*** შემოწირულება. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების მუზეუმს შემოსწირეს:

1) ვასილ და აბელ კალატოზიშვილებმა, ბრძანება კავკასიის ოტდელნის კორპუსისადმი პასკევიჩისა, 6 ოქტ. 1827 წ. და სიგელი 1796 წლისა.

2) ელისაბედ ჩერქეზიშვილისამ, სამი ვერცხლის ძველი ფული და ერთი სპილენძისა.

3) დარჩია გიორგის ძემ თეიმურაზოვმა, ხელთნაწერები: 1) რიტორიკა მხითარისა, 2) ახსნა სიმვოლიონისა, 3) თეატრო პოლიტიკა, 4) ყოვლად საზოგადო ისტორია, ნაწილი პირველი და 5) ვეფხის ტყაოსანი.

4) თ. ლევან გიორგის ძემ ჯანდიერმა, ერთი ხმალი, რომელსაც ზედ წარწერილი აქვს: „ასლამაზა მამასახლისისა ორი ცდგ“.

5) გრიგოლ გაბრიელის ძემ ბასილაშვილმა, ერთი ცალი ძველი ვერცხლის ფული და ცამეტი სპილენძისა.

6) სპირიდონ პავლეს ძემ დავაძემ, ერთი ცალი ხელთნაწერი კურთხევანი და ერთი ცალი სპილენძის ფული.

7) იოსებ ნიკოლოზის ძემ მერკვილაძემ, იაპონური ხმალი ძვლის ქარქაშით, რომელიც შემკულია ამოჭრილის ნახატებით აღმოსავლეთის ცხოვრებიდან.

8) კონსტანტინე უიფაანმა, ბროსეს საქართველოში მოგზაურობის ალბომი.

9) თევდორე დავითის ძემ ჟორდანიამ, სოლომონ მეფის წერილი ზემო იმერეთის მცხოვრებლების მიმართ, დაწერილი 1810 წ.

წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** არჩევნები სოხუმში. სოხუმის ხმოსანთა არჩევნები ოთხის წლის ვადით (1899—1902 წ.) ძველი არჩევნების გაუქმების გამო განმეორებით მოხდა 3, 4, 5 და 6 მარტს. კენჭი იყარა სულ 75 კაცმა, მათ შორის არჩეულ იქმნენ 38 ხმოსანი, და 8 მათი კანდიდატი. ამოირჩნენ ხმის უმეტესობით 1) ოსტროუმოვი ა. ა. (მოსკოვის უნივერსტეტის პროფესორი) 185 ხმით, წინაალმდეგ 17. 2) დიმიტრიევი მ. ნ. 153—10. 3) თურქია სტ. 149—11, 4) ბერენსი ლ. მ. 148—17, 5) მეტაქსა სპ. ნ. 147—16, 6) ლომაკინი ნ. პ. 135—18; 7) გოგრიჩიძე ვ. ლ. 140—22; 8) ანჩუბაძე ტ. ზ. 139—26; 9) შერვაშიძე ი. გრ. 134—27; 10) წავრაფოპულო გ. ფ 134—28; 11) ქუდრა ლ. დ. 128—35; 12) ჯულელი ა. ი. 127—35; 13) მეტაკსა ნ. პ. 125—34; 14) გეგელაშვილი ან. რ. 123—41; 15) კლდიაშვილი ს. გრ. 122—41; 16) დემალოვი დ. გრ 122—43; 17) ჩიქოვანი ნ. გრ. 120—41; 18) კნ. დადიშკელიანი კ. კ. 120—42 19) მავროპულო ქრ. 115—45. 20) თურქია საჩინო 117—46; გაბუნია თ. მ. 116—46, 22) ყარამურზა ხრ. სტ. 114—44. 23) მიმინოშვილი მ. ი. 414—48, 24) გოგრიჩიძე პ. ლ. 112—49, 25) ქირტაძე მ. ი. 110—48, 26) სახოკია თ. ტ. 104—51. 27) თოფურიძე მ. ვ. 108—55, 28) გვალია გ ბ. 107—55, 29) მახარაშვილი ნ. ი. 103—59, 30) გოგიჯანოვი ნ. 103—60; 31) თოფურიძე ლ. ვ. 101—59; 32) თურქია გახუ 101—59; 33) ლევიცკი პ. ნ. 101—61. 34) ერქომაშვილი ფ. დ. 101—62, 36) ვაფიადი პ. ს. 101—63; 36) ცომაია პ. რ. 97—66; 37) კეთილაძე პ. გ. 36—61; 38) გვაზავა იკ. ს. 96—68, 39) გოჩოლეიშვილი ა. მ. 96—68; 40) ანდრიაშენკო დ. ს. 94—71, 41) სალსკი ნ. ივ.

92—69 42) კეთილაძე ივ. დ. 91—67, 43) იამანდოპულო ნ. 90—71, 44) თოფურიძე შ. ს. 90—71; 45) ცეცხლაძე ივ. წ. 88—73, და სერებრიანიკოვი ს. ივ.—86—76. არჩეულთა შორის არიან: ქართველი—26 კაცი, რუსი—7 და 5 ბერძენი. კანდიდატთა შორის 4 ქართველია და 3 რუსი.

*** ბოქაულის ერემას ჩიქოვანის მოკვლა. 6 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქ. განჯიდან 4—5 ვერსის სიშორეზე, სოფ. შიხში ჰასან-მაგერამ-ოღლის, კერბალაი-ამრახ-კერბალაი აბდულაოღლის და სხ. თავს დაესხნენ შეიარაღებული ყაჩაღები, რომლებმაც მოჰკლეს ჰასანი, გაძარცვეს ის და მისი ამხანაგები, წაართვეს მათ 110 მან. ფულად, ნაბადი, ქამარი და ხანჯალი. გათენებისას კერბალაი ამრახმა მიიტანა ქ. განჯაში ჰასანის გვამი და ყოველივე ამბავი აცნობა პოლიციის ბოქაულს ჩიქოვანს, რომელმაც მაშინვე წაიყვანა თან გაძარცული კერბალაი-ამრახი, საერო დარაჯი კიაზუმ-შირინ-ოღლი და ოთხი ვსადნიკი და წავიდა ადგილობრივ საქმის გამოსაძიებლად, იქიდან-კი ს. ნაბიალოლში ცნობილ ყაჩაღის კარი-აზის-ოღლის მიწურ სახლის გასაჩხრეკად და მოტაცებულ ნივთებისა და ფულის აღმოსაჩენად. ყაჩაღის სახლთან ბოქაული თავისი თანამოკზაურებით მივიდა ნაშუადღევის 4 საათზე და მაშინვე გარს შემოარტყა მას ვსადნიკები. ქოხიდან გამოვიდა ყაჩაღის კარის დედა მალაკნისა და დარაჯის კიაზუმის კითხვაზე, შინ არიან თუ არა ყაჩაღებიო, ჯერ უთხრა, არ არიან, შემდეგ-კი, როცა კიაზუმმა ქოხში შესვლა დააპირა, მალაკნისამ ხელი ჰკრა მას და უთხრა, სად მიდიხარ? იქ ყაჩაღები მოგკლავენო,“—და თან შევარდა ქოხში. რამდენიმე წუთის შემდეგ მალაკნისა გამოვიდა ქოხიდან და გამოაცხადა, ქოხში არ არის არც ერთი მამაკაციო, გარდა ჩემი ნათესავის კიაზუმ შირინ-ოღლისაო. ჩიქოვანმა გამოაყვანინა ქოხიდან კიაზუმ შარინ-ოღლი, შეაკვრევინა და გადასცა ვსადნიკს ისმაილ-მასუმ ოღლის. ამ დროს ქოხიდან თოფი ისროლეს, რომელმაც მოჰკლა ზემოხსენებული ვსადნიკი, რის შემდეგ კიაზუმ-შირინ-ოღლი სწრაფად, შევარდა ქოხში. ამის შემდეგ ქოხის ღია კარებიდან შეიქმნა ხშირ-ხშირად თოფის სროლა ჩიქოვანისა და მასთან მყოფ საერო დარაჯებისაკენ. ჩიქოვანმა ქოხის უკან დასტოვა სამი ვსადნიკი და თვითონ-კი დარაჯ კიასუმთან ერთად, დაიმალა თხრილში, რომელიც 20—30 საჟენზე იმყოფებოდა ქოხიდან, მის კარების პირდაპირ. მალე ქოხიდან გამოცვივდა ექვსი ყაჩაღი და ერთად დაიწყეს თოფების სროლა ჩიქოვანისა და ვსადნიკისაკენ. ვსადნიკმა კიაზუმმაც, გაისროლა თავის მხრით თოფი და დასჭრა ერთი ყაჩაღთაგანი, მაშადი—ჯაფარი. გაიგო თუ არა ეს, ჩიქოვანი წამოდგა ფეხზე. ამ დროს მეორე ყაჩაღმა იბრაჰიმ-აღამ ესროლა მას თოფი და სასიკვდილოდ დასჭრა ფერდში, რის შემდეგ უბრძანა თავის ამხანაგებს, ბოქაულს თავთ მოსჭერით და თან წაიღეთო, მაგრამ დარაჯმა კიაზუმმა და ვსადნიკმა არ მიუშვეს ბოქაულთან და გააქციეს ყაჩაღები, რომლებიც შეჯდნენ ჩიქოვანისა და მისი კაცების ცხენებზე და თან გაიტაცეს დაჭრილი მაშადი-ჯაფარი სოფ. ნაბიალოლში. ყაჩაღების გაქცევის შემდეგ დარაჯმა კაზუმმა გაჩხრიკა ქოხი და ნახა აქ წინა ღამით მოტაცებული ხანჯალი.

ბოქაული ჩიქოვანი გარდაიცვალა ჭრილობისაგან იმავე ადგილზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ამბავი ეუწყა მაზრის უფროსს მარაკის, რომელიც ვსადნიკებისა და 50 ყაზახის თანხლებით დაედევნა ბოროტ-მოქმედთ, რის შედეგიც ჯერ არ იციან. („ტფ. ფ.“).

*** ახალი დანიშნულება. გორის მაზრის ექიმის თანამდებობაზე დანიშნულია ახალქალაქის მაზრის ექიმი ბ. მიხაილოვი.

*** ექიმის გაგზავნა. სამკურნალო გამგეობამ წინადადება მისცა ტფილისის მაზრის ექიმს წავიდეს ს. ხატის-სოფელში და ხალხს ყვავილი აუცრას, რადგან ეს სენი იქ შესამჩნევად გავრცელებულა.

*** დ. გაბაშვილის მოკვლის საქმე. ტფილისის ოლქის სასამართლომ 9 მარტს გამოაცხადა საბოლოო განაჩენი გაბაშვილის მოკვლის საქმის თაობაზე. განაჩენი გამოცხადებულ იქმნა ბრალდებულთა—შიხი ტუსიშვილისა და ვლ. ბარათაშვილის თანადასწრებით.

*** ქუჩის დარაჯის მოკვლის საქმე. ტფილისის პოლიცმეისტერმა 9 მარტს, სთხოვა ტფილისის გუბერნატორის თან. ალმ. იშუამდგომლეთ კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ რომ ქუჩის დარაჯის ვას. ტარასოვის მკვლელი სოფ. სარვანის მცხოვრები, ასან-ასთან-ალა-ოღლი-ბაირამოვი სამხედრო სასამართლოს გადაეცეს გასამართლებლადაო.

*** ძალდატანების საქმე. ტფილისის ოლქის სასამართლომ ქ. გორში 8 მარტს, ხალხის დაუსწრებლად, განიხილა საქმე გორის მცხოვრებთა იოსებ ჯალანთიაშვილისა, ნიკო ნინიკაშვილისა და დათიკო აბაშვილისა, რომელთაც ბრალდებოდათ გლეხს შ. აბაშვილზე ძალდატანების ხმარება. სასამართლომ დათიკო აბაშვილს მიუსაჯა ყველა უფლების ახდა და 6 წლის კატორღა, ხოლო ჯალანთიაშვილი და ნინიკაშვილი გაამართლა.

*** **ცხინვალის ხეობა.** სკოლების დათვალიერება ზედამხედველისაგან. შარშან 8 ნოემბერს, ცხინვალის საბოქაულოში, სკოლების დასათვალიერებლად, გვეწვია ინსპექტორი ევტიხი ბესარიონის ძე უ. მამინაიშვილი, რომელსაც თან ახლდა გორისა და დუშეთის სამრევლო სკოლების ზედამხედველი მღვდელი მ. ბენიამინე კონტრიძე. ამ დღეს ორთავემ გამოსცადეს ვანათის ორ-კლასიანი სასწავლებლის მოწაფეები; მაგრამ სამწუხაროდ, მოწაფეები ძრიელ ცოტანი დაუხვდათ, რადგანაც სწავლა ჯერ კიდევ თავის კალაპოტში არ არის ჩაყენებული, სასწავლებლის შენობის დაუმთავრებლობის გამო. ბ. ინსპექტორმა თავისი აზრი წარმოსთქვა, რომ თავის შრომას არ დაზოგავს და წელს ორკლასიანად გადაკეთებულ ვანათის სკოლას, თუ სამაგალითო სასწავლებლათ არა, საუკეთესო სკოლად გარდაქმნის მცირე ხნის მომავალში. რასაკვირველია, რომ ადგილობრივი მკვიდრნიც ისე ცივ-გულად აღარ მოეკიდება სწავლა-განათლების საქმეს, როგორც აქამომდე.

თუ აქამდინ ერთ-კლასიანი სასწავლებელი იყო და ხალხის შეძლებულობით თვალსაჩინო სარგებლობა არ მოჰქონდა, ეხლა ხომ ორ-კლასიანია? ეხლა ხომ შეიძლება ამათი მოზარდი ბავშვები, ისე მომზადნენ, რომ სხვა სასწავლებლებში შეეძლებათ სწავლის გავრცელება კურსის დამთავრების შემდეგ; მით უმეტეს მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება არაფერს არ ზოგავს თავიანთ სკოლებისათვის და საუკეთესო შეგირდებთ თავის ხარჯით ყოველ წლივ გზავნის ხოლმე არდონის სემინარიაში და სხვა სასულიერო სასწავლებლებში. ესეც რომ არ იყოს, ვინც კურს დაამთავრებს ამ სასწავლებელში და დაუბრუნდება თავის მამა-პაპის ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას, რასაკვირველია, რომ ის ამ საქმეებს ასკეცად გააუმჯობესებს, სამეურნეო წიგნების კითხვით და სწავლა-განათლების შემწეობით. და რომ მართლ-მადიდებელი სარწმუნოების სწავლის მკოდნე იქნება, ამას რაღა ლაპარაკი უნდა. ძრო არის ქართველი მთიელებიც უმაძღრისად
წაფენ ამ უკვდავების წყარ
როგორც თავიანთი მეზობ
პატარა ლიახვის ხეობაზე.
დღეს გამოსცადეს ჯერ კ
უსუსური, რვა თვის აწერის-ხ
სკოლის შეგირდები, რომ
დაარსდა წელს ინსპექტორად
ყოფის ყოვლად-სამღვდელო
რიონის მეცადინეობით. სას
ლებელში დაუხვდათ ოცამდი
წაფე, თუმცა ირიცხება სულ
და-ათამდინ. ბ. ინსპექტორმ
სასწავლებელსაც აღუთქვა დახ
ბა. მათი მეუფება ყოვლად-სა
დელო კირიონი დღესაც არ
ყებს თავის შვილივით შე
ბულ აწერის-ხევის სასწავლე
და შეგირდებს უგზავნის ხო
გულის ჯვრებს, პატარა წიგნ
და სხვ.

მართალ

*** **ს. შინდისი.** (ქარ
ქურდობის გახშირება ჩვენშ
აგერ მეორე წელიწადია, რაც
ში ქურდობა გახშირდა. შა
ზაფხულის ერთს ღამეს, მოჰპ
აზ. კოტე მირ—შვილს ვილაც
როტ გამზრახველებმა ორი (
ღირებული აც-და-ორ თუმნათ
ანასკნელმა მიმართა ტფილ
გუბერნატორსა, რომელმაც
საჯა სოფელს გარდახდა,
მოდ აღნიშნულის ფულისა,
ჩაგრული მხარის სასარგებლ
(რომელიც უკვე სოფელს გ
ეცხადა). რო გაიგეს ბოროტ
ზრახველებმა, რომ „ქურდებ
დაეძებენ, და დანაკარგს სოფ
ახდევინებენო,“ უარესად გა
რეს თავიანთი ბოროტი ხელ
ჯერ ისე ღამე არ გასულა,
და სამი სახლი არ გატეხილ
ამ შემთხვევამ ძალიან აღ
ხალხი, და ძალა უნებურათ
ყენა იმ ფიქრზედ თუ როგორ
მოეჩინათ ქურდები. ბოლოს,
და სხვა ზომების მიღების შემ
და აქაური მამასახლისის ს.
ბაშვილის და მწერლის ბ. ი.
ძნიშვილის დახმარებით აღმ
ნეს ქურდები, რომლებზედაც
ლობაში ხალხმა ერთხმად
უცხადეს აქაურს მოხელეებს
დეგი: რომ ოქმი დაადგინო
სთხოვონ ბ. მაზრის უფროსს,
მდგომლობა უმაღლესს მთა
ბასთან ამ ვაჟბატონების გა
ლებაზედ ციმბირში, სოფლის
ჯით. მოხელეებმაც, რასაკ
ლია, თანახმობა განუცხადე
ვით, მხოლოდ საქმით კი მია
სასურველი იქნება ხალხის
ვილი აღსრულებაში მოსულ
და მთავრობასაც ჯეროვანი
რადღება მიექციოს, რომ
საც სუსხი მიეცეს და მთ
ამ გვარი ისეც შევიწროებ
ხალხის, შევიწროება.

ზემო ქართლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...ატრის მატიანე

—

...ეფ. ხიდისთავი (გურია).
...ული წარმოდგენა. 23 თებერ-
... აქაურმა სცენის მოყვარეებ
...არმოადგინეს იერ. გულისაშვი-
... პიესა „დრონი მეფობენ“. ჩე-
...რით ეს ისეთი ძნელი პიე
... რომ კარგი დახელოვნებული
...სტები უნდა, რომ როგორც
... ისე წარმოადგინონ, მაგრამ
...ი ისეთნი გულადნი არტის-
... გვყვანან, რომ თუ დრამები
...ომედიებს აღარ კადრულო-
...ოლონდ კი გამოჯინჯრიკდეს
...ზე და ორიოდე გროში იშოვ-
... თორემ საზოგადოებას თუ
...ვნება აქვს და შეუძლიან
...ის დაფასება, ის კი არ იციან,
... ასე არ ფიქრობდნენ სრუ
...თ ასე ძნელ პიესას ხელს არ
...ებდნენ. წარმოდგენა მეტად
...ული გამოვიდოდა, რომ ზო-
...ებს, მართლაც და თავიან-
...ხდენილი თამაშობით არგა-
...ოებინათ საქმე. მაგ.: კარგ-
...ვნენ ქქ. კ. ხუნდაძისა, ეკ.
...ვილისა, ბბ. სერ. და სიმ.
...ვილები, ელ. კალანდაძე და
...მილე შარაშიძე.
...ასოულ მადლობის ღირსია
...მოდგენის გამგე ქ-ნი ვენე-
...რიძე, მას რაც შეეძლო და ხ.
... არ დაუკლია და თუ კი
...ტში რილი არ იკოდა რა
...ალია. ვიაუ[?]ვებ ქ-ნ ვენე-
... გამგეობა პიოველი არ ყუ-
...ოს. შემოსავალი დაახლო-
... 28 მ 80 კ., ხარჯი კი არ
...რამეინი იყო და კარგი იქ-
...რომ ზე რომ ანგარიშს გა-
...დებდნენ

ხიდისთაველი მონარდე

## ...სასამართლოს მატიანე

...8 წლის 16 სექტემბერს
...თის საზოგადოების მამასახ.
... ბოქაულის ბრძანების ასა-
...ებლად, გააგზავნა სოფ. ბე-
... თვისი თანაშემწე აგიაშვი
...გრეთვე გზირები მათიაშვილი
...ლიძე ამ სოფლის გლეხების
...ევად რკინის გზის ლიანდაგზე
...შვილი მივიდა მიხეილ ბე
...ვილთან და უთხრა მას რკი-
...ზე უნდა წახვიდეო. მიხო
...აშვილმა უარი განაცხადა ამ
...ნების შესრულებაზე. ამის
...მათიაშვილმა წინადადება მი-
...ხო ბექიტაშვილს წამოდი
...ის კანცელარიაშიო, ხოლო
... უკანასკნელმა ამაზედაც
...სთქვა, მათიაშვილმა წაავლო
...ლი საყელოზე და ძალად
... დაუპირა, ამ დროს მათია
... მივარდა მიხო ბექიტაშვი-
...მა ნიკო და თავზე ჯოხი დაჰ.
... ...ის შემდეგ ... ...

წამოდგა, მიხო ბექიტაშვილმა მას ნაჯახი დაარტყა შუბლზე, რის გამო მათიაშვილი დაეცა მიწაზე და ცნობიერება დაჰკარგა. მამასახლისის თანაშემწე აგიაშვილი და გზირი წველიძე მივარდნენ მას, წამოაყენეს, აიყვანეს ხელში და დაუპირეს წაყვანა. ამ დროს მიხო ბექიტაშვილმა ხელ-ახლად დასცა მათიაშვილს ხანჯალი თავში.

სასამართლოში მიხო და ნიკო ბექიტაშვილებმა თავი დამნაშავედ არა სცნეს. მიხ. ბექიტაშვილმა განაცხადა: როცა მათიაშვილმა, ჩემი უარის შემდეგ, მათრახის ცემა დამიწყო და ხმალზე წაივლო ხელი, მე დაუწყე მას ხმლის წართმევა და ბრძოლის დროს მათიაშვილმა ჭრილობა მიიღო თავსა და ხელშიო; ნიკო ბექიტაშვილმა კიგინაცხადა: მე სახლში, იმდროს მიველი როცა ილია მათიაშვილი მიჰყავდათო და მისთვის ჯოხი არ დამირტყამსო. ტფილისის ოლქის სასამართლომ 8 მარტს გაარჩია ეს საქმე ქ. გორში, ორივე ბრალდებული დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა: მიხეილ ბექიტაშვილს—4 წლის კატორღა, ხოლო ნიკო ბექიტაშვილს—ტუსაღთა ზნე ხასიათის გამასწორებელ განყოფილებაში წლი ნახევრით დაპატიმრება.

(„კავკ.“)

## სამწუხარო ცნობა

—

ლოთობა—ადამიანის დამღუპავია*). აბა თვალი გადავავლოთ იმ ცარემოებას, თუ ინგლისელები რამოდენა მაგარს სასმელებსა ხმარობენ ინგლისში პური იხარჯება წელიწადში 70,000,000 გირვანქა სტერლინგისა, ამოდენივე საფასურისა—ყველი და ერბო, ფარჩეულობა და ფართალი—60 მილ., სახარჯი სადღეს ერთი მილიონისა, მაგარი სასმე ები წელიწადში ისმება 1,360 მილიონი მანეთისა. ამ გვარი უზომო მაგარი სასმელების დახარჯვა სწორედ რომ სახელმწიფოს დამამხობელია!..

ერთმა დაინტერესებულმა ამერიკელმა მინისტრმა გამოიანგარიშა ის, თუ ამერიკას რამდენი უჯდება ლოთობა. ამ ათი წლის განმავლობაში ამერიკაში დახარჯულა 4,000,000 ფრანკის ღირებული მაგარი სასმელები. ამ აუარებელის სასმელების დალევამ მრავალი უბედურებანი დაჰბადა: 30,000 ადამიანი მოკვდა, 100,000 ბავშვები დარჩნენ უპატრონოდ და საქვეყ მოქმედო სახლებში მოხვდნენ, 150,000 კაცი საპყრობილეში დაპატიმრებულ იქმნენ და 10,000 კაცმა სულით სავადმყოფოში,—ლოთობისავე წყალობით ჩავარდნილ იქმნა 1,500 მკვლელობა. 2,000 თავის მოკვლა, ცეცხლით და[?] წაო 50 მილიონ ფრანკის ღირებული წონება, უსახლ-კარო და უბინაო დარჩნენ 200,000 სული. ქვრივი და ობოლი,

ეს უბედურება კიდევ არაფერი. ლოთობა სრულიად არღვევს მეოჯახობას, სწამლავს ცოლშვილის მყუდრო ცხოვრებას, როდესაც ოჯახის უფროსი ლოთობას იწყებს, შინ აღარ შედის, რასაც შოულობს და ჰოულობს, დუქნისკენ მიარბენინებს, სადაც უდამდება, იქ უთენდება. ხშირად უგონო მთვრალი ცას ქვეშ ათენებს. აღარც ჩაცმაა მისთვის, აღარც დახურვა, დადის უბედურად დაგლეჯილ-დაფლეთილი, და ფეხ-შიშველი. ცოლი მიდის სხვაგან სამუშაოდ, ბავშვებს სხვები იყვანენ სამადლოდ გამოსაზრდელად. ერთი სიტყვით ემხობა მთელი ოჯახი და უბედური ლოთობის მსხვერპლი ხდება ლოთი კაცის ცხოვრებას, კარის მძოვრის ცხოვრება გაცილებით სჯობიან.

იმ ქვეყნებში, სადაც კანონი ნებას აძლევს, ლოთობის მიზეზით ცოლქმრობითი კავშირი დაირღვეს, შენიშნულია, რომ რამოდენადაც ვრცელდება ლოთობა, იმოდენათვე ხშირდება ცოლ ქმართა გაყრა. ამ შემთხვევაში უმეტესი ნაწილი ლოთი ქმრები არიან დამნაშავენი, რომლებიც გულის ყურს ჭერიან ცოლშვილს, აღარ ძლევენ საზრდოს და ლოთის ანაბარას სტოვებენ. ჩვენში ცოლ-ქმართა გაყრა ძალიან ხშირი იქნებოდა, რადგანაც ძალიან ბლომად მოიპოვებიან ამ გვარი ცოლშვილიანი მამა კაცები, მაგრამ ჯერ ერთი, რომ სასულიერო მთავრობის მხრივ დიდი დამაბრკოლებელი მიზეზებია; მეორე—რომ ჩვენი ქალები უოვლდგვარ გაჭირვებას კი მოითმენ და საეროთ სასამართლოს გზაზედ კი ფეხს არ შესდგმენ, მესამეც—რომ ჩვენს ქალებს ჯერ ჯერობით წმინდათა წმინდათ მიაჩნიათ ცოლ ქმრობითი კავშირი და მისი შერყევა დიდს ცოდვათ მიაჩნიათ. ყველაზე მავნებელად ლოთობა პატარა უმაწვილებზედ მოქმედობს, ზოგიერთა ხალხოსნობას მაგარი სასმელები სანთიერო და სამარგებლო საშუალებათ აქვს წარმოდგენილი და წინ დაუხედავად პატარა ბავშვებს დიდის ხალისით ასმევენ ზოგიერთა მშობლები იმ შეუგნებელს ზომებამდის მიდიან, რომ ძუძუ მწოვარა ბავშვებსაც კი ძალ-და-ძალ პირში მაგარს სასმელებს ასხამენ ზოგიერთა მეეცარიის მუშა ხალხს ისე აქვს მიღებული რომ როდესაც უმაწვილი რიგიანნაიერ საჭმელს არა სჭამს, უეჭველად მაგარი სასმელი უნდა დაალევინოთ, რადგანაც იგი ძალიან ეხმარება კუჭს მიღებული საჭმლის მონელებაში და დიდს სინოყივრესაც აძლევსო. საქართველოში ამ გვარი შემთხვევა მეტად ხშირია, მეტადრე მთის ხალხში, ჩვენ გვინახავს, რომ მთიულებს სამის თვის ბავშვისთვის სულადის არაყი დალევინებიათ.

იე. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 769

## რჩეული აზრები

—

ქორწინება ბადია, რომელშიაც იმდენივე გველი ხართბს, რამდენიც ყვავილი.

—

შიში უბედურების დობაა.

—

რჩევა ყველასაგან მიიღე, მაგრამ თავდაპირველად შენი საკუთარი აზრი იქონიე.

—

ფულის გასესხება ხშირად მეგობარს გვაკარგვინებს.

—

მცირე შიში ხშირად უდიდეს საქმეს აფუჭებს.

—

გულით თავ მდაბალი, სულით მაღალია.

—

სადაც ღვთისმოსაობა ძლიერია, იქ მწუხარება და ცრემლები არ დაიფარება.

### ყურმოკრული საუბარი

—

— რატომ არ მომილოცავ?
— რა უნდა მოგილოცო?
— ცოლის შერთვა.
— მე შენს ცოლს არ ვიცნობ
— მერე რა ვუყოთ, რომ არ იცნობ?
— მე არა ვიცი, რა მოგილოცო და არც ის შემიძლიან, რომ შენ ცოლს შენი ქმრობა მივულოცო.
— რატომ არ შეგიძლია?
— იმიტომ, რომ შენ კარგად გიცნობ რა ჭიანი ტემპალიც ბრძანდები.

—

ერთი ვაჭარი უსაყვედურებს მეორეს:

არა გრცხვენია! ბიჭის პირით რომ შემოგითვალე, სამი გირვანქა ჩაი გამომიგზავნე მეთქი, წონაში რად მოგეტყუებია: სამის მაგიერ, ორ გირვანქა სახუგარი რად გამოგზავნე.

— არა, ძალიან სცდები. მართალია, ის ჩაი გირვანქებით კი არ აგიწონია, მაგრამ სასწორ ხედ ის სამი გირვანქა საპონი შეუწონე, რომელიც შენ წუხან გამოგზავნე ჩემთვის; მე დარწმუნებული ვარ, რომ შენი გირვანქიანები სწორია.

## წვრილი ამბავი

—

პარიზის გამოფენამდე ორი წელიწადი კიდევ არის, ვისაც მცირე ჯამაგირი და შეძლება აქვს მოწადინებული ლის დასწრობას გამოფენაზედ, ამ რიგად უნდა მოიქცეს: თვეში გადასდოს 8 მანეთი, რაც ფული შეგროვდება გამოფენამდის, სრულიად დააკმაყოფილებს პარიზში წამსვლელს,—აი ანგარიშიც. მესამე კლასით წასვლა კიევიდან პარიზამდე 45 მან. ერთი პარიზში ცხოვრება სახლის ქირა—მან. სადილისა და ვახშმისა 33 მან. ყოველ დღე ყავახანაში 5 შ. 50 კაპ თითოჯერ ყველა საუკეთესო თეატრებში და ცირკებში წასვლა 15 მან. გა-
... 20-ჯერ ... ...

ვლა-მოსვლა 2 მან. 50 კაპ., სხვა წვრიმალი ხარჯები 50 მ. სულ დაიხარჯება—187 მანეთი.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

ყუთში მობინადრე. ვარშავის გაზეთები სწერენ, რომ ამას წინად, რადომის გზა-ტკეცილის მახლობლად, პოლიციამ შენიშნა მინდორზე დიდი ყუთი. პოლიციელებმა იფიქრეს, ეს ყუთი ვიღასაც მოუპარავს და მინდორზე დაუტოვებიაო და მივიდნენ ყუთთან, რომ პოლიციაში წაეღოთ, მაგრამ ყუთში მათ დაინახეს კაცი. ეს კაცი აღმოჩნდა ვიღაც ახალ-მოშენე ფედიქს დომბიკი. ეს ყუთი მე პატიოსანი საშუალებით ვიშოვეო, განაცხადა მან; არც მომიპარავს და არც მომიტაცნია, არამედ აბაზად ვიყიდეო. ეს ჩემთვის საუკეთესო ბინაა დღეს, როცა ბინები ყველგან საშინელი ძვირიაო. მე არ მაბადია არავითარი საშუალება, რომ უკეთესი ბინა გავიჩინოო. მაგრამ მიუხედავად ამ საბუთებისა, პოლიციამ იძულებული გახადა დომბიკი გასცლოდა თავის ახირებულ ბინას. ეს ვიღაცა დომბიკი ყოფილა, საბერძნეთის ფილოსოფოსის დიოგენის ჭკუაზე დამდგარა, რომელიც ბოჭკაში ცხოვრობდა ხოლმე და იქ ფილოსოფიურ აზროვნებას ეძლეოდა.

—

ქალის მოკვლა მღვდლის მიერ. გენუაში ამ დღეებში ერთმა მკვლელობამ მთელი ქალაქი შეაშფოთა. ერთმა ხანში შესულმა მღვდელმა თავისი მოსამსახურის დახმარებით მოჰკლა დარიბი ქალიშვილი ლუალი. მკვლელობის მიზეზი ის ყოფილა, რომ მღვდელს დიდი ხნიდანვე ჰქონია ქალთან ახლო კავშირი. ქალი ამისათვის ფულს თურმე თხოულობდა და მღვდელს საქვეყნოდ შერცხვენას ემუქრებოდა.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

8 მარტი.

**კალუგა.** გუბერნატორთან კრება ჰქონდათ გუბერნიის სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ. შესდგა პუშკინის კომიტეტი, რომელმაც უნდა შეადგინოს პროგრამმა დღესასწაულებისა პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების გამო. აზრადა აქვთ გამართონ კალუგაში „პუშკინის სახლი". ხელის მოწერაა გამართული პუშკინის ხსოვნის უკვდავ საყოფელად.

**ყაზანი.** სამოსწავლო ოლქის მზრუნველის, უნივერსიტეტის რექტორისა ‹ პროფესსორების და საზოგადოების თანადასწრებით, პარაკლისის შემდეგ, ახალის ობსერვატორიის საძირკველი ჩაჰყარეს ყაზანიდგან 18 ვერსის მანძილზედ, იმ ადგილას, რომელიც უმაღლესის ბრძანებით, სახელმწიფო აგარაკში დაეთმო განზრახულ ობსერვატორიას.

**პარიზი.** გაზეთებში იბეჭდება ტულონიდგან გამოგზავნილი დეპეშები, რომლებშიაც ნათქვამია, რომ ექვსს მარტს, ღამე, თოფი ესროლეს ჯარის-კაცს, რომელიც ქალაქის ალაყაფის კარებიდგან 400 მეტრის მანძილზედ, ბომონის კოშკში თოფის წამლის საწყობს სდარაჯობდაო. ტყვიამ ჯარის-კაცის ფარაჯას გაუარა. დამნაშავენი გაიქცნენ. გამოძიებას თუმცა შეუდგნენ, მაგრამ ვერაფერი გამოარკვიეს.

**ტულონი.** სამხედრო მოხელენი ფორმალურად უარ-ჰყოფენ იმ ამბავს, ვითომ ბომონში თოფის წამლის საწყობის დარაჯს თავს დასხმოდეს ვინმე.

5 მარტი

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტის მთავრობა შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ სასჯელი შეუმსუბუქონ 78 სტუდენტს, რომელნიც არეულობის დროს დათხოვნილ იქმნენ. მინისტრმა დაამტკიცა ეს შუამდგომლობა. უმაღლესის ბრძანებით მინდობილი იყო წესიერების აღდგენა უნივერსიტეტში. ყველა 78 დათხოვნილ სტუდენტებს ნება მიეცა ხელახლა შევიდნენ უნივერსიტეტში. 78 სტუდენტთაგანს, 29-ს საყვედური გამოუცხადეს და სამის დღით "კარცერი„ გადაუწყვიტეს, დანარჩენთ მხოლოდ საყვედური გამოუცხადეს.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. არენბერგი შეეკითხა მთავრობას ამას წინად მომხდარ ბურჟეში ორ აფეთქებისა და გამოძიების შედეგის შესახებ. ფრეისინემ მიუგო, რომ მიზეზი აფეთქებისა ჯერ გამოკვლეული არ არის, მაგრამ ეს კაი, რომ აფეთქება ბოროტ გამზრახველობით არ არის ჩადენილი. განკარგულება მოვახდინეთ, რომ თვალ-ყური დაიჭირონ, რათა შემდეგში არ განმეორდეს ასეთი ამბავი.

**პარიზი.** პალატა. კლოდინონს არ სჯერა, რომ წყლის ქვეშ მოსიარულე გემმა საფრანგეთს უპირატესობა მიანიჭოს უცხო სახელმწიფოებთან შედარებით. იმის წყალობით, რომ ლოკრუამ,—განაგრძო მან,—გამოამჟღავნა ეს, ინგლისი ეხლა წყლის ქვეშ მოსიარულე გემის გაკეთებას შეუდგება. ლოკრუამ მიუგო, რომ მე მაგვარი არაფერი ჩამიდენიაო და უსაყვედურა კლოდინონს, იგი ამცირებს საფრანგეთის ფლოტის ღვაწლსა; რადგანაც ამტკიცებს, რომ საფრანგეთს უპირატესობა არა აქვს სხვა სახელმწიფოების ფლოტებთან შედარებით, მაშინ, როდესაც ჩვენი წყლის ქვეშ მოსიარულე გემი ბევრად უკეთ... იტალიისა და გერმანიის ასეთ... გემებზედაო. საზოგადო კამ... დასრულდა.


# განცხადებანი

**ОТКРЫВАЕТСЯ ПОДПИСКА**

на безцензурный

НАУЧНО-ЛИТЕРАТУРНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

# „Начало"

Журналъ «Начало» будетъ выходить ежемѣсячными книгами од 30 ... чатныхъ листовъ и содержать, кромѣ беллетристическихъ произведеній ... ковъ, стихотвореній, научныхъ статей по всѣмъ отраслямъ знанія и ... публицистическихъ, слѣдующіе постоянные отдѣлы: 1) внутреннее обозр... 2) обозрѣніе провинціальной жизни и письма изъ провинціи; 3) иностран... обозрѣніе и письма изъ-за границы; 4) литературное и журналь обозр... ніе.—Въ библіографическомъ отдѣлѣ журнала будутъ печататься подписан... авторами рецензіи на вновь выходящія книги.

Въ ближайшихъ книгахъ будутъ помѣщены, между прочимъ слѣду... произведенія: К. Баранцевичъ «Пожаръ» (разсказъ). В. Вересаевъ «Изъ ... нихъ встрѣчъ» (очерки).—Н. Гаринъ (Михайловскій) «Клотильда» (повѣс...) «Мессеръ Гвидо Кавальканти», разсказъ Анатоля Франса, въ перев. С. Ольденбурга.— Р. Гвоздевъ «Шаманъ» (разсказъ).—Н. А. Рубакинъ «М...рошкино жертвоприношеніе» (Изъ воспоминаній голоднаго года).—З. А. ...герова «М. Метерлинкъ».—С. ф. Ольденбургъ «Есть ли буддизмъ религія ...ссимизма?».—В. Г. Михайловскій «Развитіе русскаго земледѣлія въ XIX в...» В. А. Іоновъ «Что такое „оскудѣніе центра"?»—А. Е. Лосицкій «Неуро... 1898 года».- Л. А. Кирилловъ «Неземледѣльческій отходъ крестьянскаго ...сселенія» М. И. Туганъ-Барановскій «Споры о Фабрикѣ и капитализмѣ ... имъ критикамъ).—П. Б. Струве «Основные моменты въ развитіи крѣпос...го хозяйства въ XIX в. въ Россіи» —П. П. Масловъ «Заработная плата и р... въ русскомъ земледѣліи» —Г. Зиммель «Задача соціологіи», перев. Б. А. К...тяковскаго.

Въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица: Б. В. Авиловъ, ... С. Баранцевичъ, С. Н. Булгаковъ, З А. Венгерова, проф. В. И. Вернад... проф. К. А. Вернеръ. В. В. Вересаевъ А. Э. Вормсъ, Н. Гаринъ (Н. Г. ...хайловскій), Р. Гвоздевъ, М. О. Гершензонъ И. А. Гурвичъ, М. И. ...овичъ, В. Э. Денъ, В. И. Ильинъ, В. А. Іоновъ, А. М. Калмыкова, Л. ... Кирилловъ, Л. Ф. Кржививкій, А. А. Корниловъ, Б. А. Кистяковскій, ... В. Крестовская, проф. Д. Н. Кудрявскій, А. Е Лосицкій, П. П. Масл... В. Г. Михайловскій, Н. К. Муравьевъ, А. А. Никоновъ, кн. В. А. Обол...кій, проф. Д. Н. Овсянико-Куликовскій, И. Х. Озеровъ, проф С. Ф О...денбургъ, В. В. Португаловъ, Н. А. Рубакинъ, А. А. Санинъ, В. Л. С...шевскій, П. Б. Струве, П. Ф. Тепловъ, В. Ѳ. Тотоміанцъ, М. И. Туга... Барановскій, С Л. Франкъ, В. Я. Яковлевъ (В. Богучарскій). А. И. Яроцкій и ...

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:**

| | |
|---|---|
| Подписная цѣна съ доставкой и пересылкой на годъ . . . | 10 р.— |
| « » « « « « « полгода . . . | 5 «— |
| « « « « « « « три мѣсяца . . | 2 « 50 |
| « « « • безъ доставки и пересылки . . | 9 «— |
| « « « съ пересылкой за границу на годъ . . | 12 «— |

Принимается подписка въ главной конторѣ журнала: Малая Итальян... д. 5. кв. 25 и въ отдѣленіяхъ конторы: въ библіотекѣ Черкесовой (О. Поповой), Невскій, 54, и въ книжномъ складѣ А. М. Калмыковой, Литейный, ...

(10—1) Редакторъ-издательница А. А. Воейкова

Подписка на 1899 годъ

# РУССЬ 4 руб. въ годъ съ пересылкой.

ежедневная газета и еженедѣльный

**„Иллюстрированный Листокъ" 2** Рубля въ г... съ пересы...

Издаваясь при «Недѣлѣ», въ одномъ съ нею направленіи, и служа с...ственнымъ ея дополненіемъ, «Русь» въ то-же время представляетъ собою с...мостоятельный, полный ежедневный органъ, имѣющій цѣлью,—благодаря у... выдающихся литературныхъ силъ,—доставить интеллигентнымъ читателямъ ... общедоступной подписной цѣнѣ вполнѣ литературную и серьезную газету...

| | | | |
|---|---|---|---|
| **„НЕДѢЛЯ"** | еженедѣльная общественно-политическая газеаа | **9** Руб. въ годъ съ перес. | Всѣ четыре изданія **15** р. въ г... съ пер... |
| **„КНИЖКИ НЕДѢЛИ"** | ежемѣсячный литературный журналъ | | |

**Допускается широкая разсрочка**

*Подписка принимается:* въ С.-Петербургѣ, въ конторѣ редакціи «Не...дѣли» и «Руси», Литейный, 9.

Ближайшіе сотрудники: Я. В. Абрамовъ, проф. Н. П. Вагнеръ, П. ... Гнѣдичъ, прив.-доц. В. М. Грибовскій, В. Л. Дѣдловъ, М. Н. Мазаевъ, ... О. Меньшиковъ, П. Е. Накрохинъ, Владиміръ Соловьевъ, акад. И. И. ...жулъ и многіе другіе.

Редакторъ-издатель «Недѣли», издатель «Руси» *В. Н. Гайдебуровъ*

(7—12) Отвѣтственный редакторъ «Руси» *М. В. Голо...*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Мартъ 1899 г. სტ. „ცნ. ფურც." (ვ. ბენიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბ...